საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

ქ. მცხეთა «23» 10 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1462/03

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2013 წლის 1 ოქტომბერს N 74118/03 განაცხადით „პირსონ პი.ელ.სის" წარმომადგენელმა გიორგი სარაჯიშვილმა (მის: 80 სტრანდ, ლონდონი WC2R 0RL) მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „PEARSON" (რეგ. N 24128) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „PEARSON" (რეგ. N 24128) „საქპატენტში" რეგისტრირებულია 16.10.2013 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 16.10.2023 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია მე-16 კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასაქონლო ნიშანზე „PEARSON" (რეგ. N 24128) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლის ვადით (მოთხოვნის რეგისტრაციის N417), მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 23.10.2013.

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; „პირსონ პი.ელ.სის" წარმომადგენელს გიორგი სარაჯიშვილს (მისამართი: რუსთაველის გამზ.18, მე-2 სართული, 0108, თბილისი)

ასლი დედანთან სწორია
„23" 10 2013წ
ხელმოწერა

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი"

ინფორმაცია სასაქონლო ნიშნის შესახებ:

ნიშანი:

PEARSON

PEARSON

რეგ. N 24128

მფლობელი: პირსონ პი.ელ.სი

მისამართი: 80 სტრანდ, ლონდონი WC2R 0RL, გაერთიანებული სამეფო

კლასი:

16 - ნაბეჭდი პროდუქცია, მათ შორის, საგანმანათლებლო წიგნები, სახელმძღვანელოები, სავარჯიშო წიგნები, საგანმანათლებლო შეფასებები, გამოცემები, ენციკლოპედიური წიგნები და დამატებითი ნაბეჭდი პროდუქცია.